



საქართველო  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 5271

13/11/2019

5271-09-2-201911131155



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 115-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის მე-10 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 38-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგინებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

**1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი**

მოგახსენებთ რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულმა აუქციონატორმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავ ქონებაზე (ავტომობილი - VAZ 2107; გამოშვების წელი 1999, ფერი მწვანე - 8/8; სედანი; სარეგისტრაციო ნომერი MAC-002) ორჯერ უზრუნველყო ელექტრონული აუქციონის მოწყობა - როგორც საწყისი საპრივატიზებო საფასურით (1200 ლარი), ასევე განმეორებით 50%-ის შემცირებით, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი პრივატიზება არ განხორციელდა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნულ მოძრავ ქონებაზე ისევ გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი, რომლის საფუძველზეც მომზადდა წარმოდგენილი პროექტი, სადაც მოძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური 70%-ით შემცირდა და განისაზღვრა 360 ლარით.

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ვინაიდან საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება 50%-ს ქვემოთ ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრა, გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი პროექტი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

**2. პროექტის ფინანსური დასაბუთება**

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

### 3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის გიორგი ნაჭყებიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

### 4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ა. სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის  
ეკონომიკისა და ქონების მართვის  
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 2118  
07/11/2019

2118-09-3-201911071701



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს  
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის  
ეკონომიკისა და ქონების მართვის  
სამსახურის უფროსის გიორგი ნაჭყებიას

### მოხსენებითი ბარათი

ბატონო ალექსანდრე,

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულების N4 დანართში მითითებული ავტომობილის (VAZ 2107; გამოშვების წელი 1999. მწვანე - 8/8; სედანი; სარეგისტრაციო ნომერი MAC-002)საწყისი საპრივატიზებო საფასური შეადგენდა 1200 ლარს; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ელექტრონული აუქციონის და განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით გამოცხადებულ ამ მოძრავი ქონების ფასი შემცირებული იქნა 50%-ით. მიუხედავად ამისა ავტომობილის პრივატიზება არ მოხდა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად თუ არ მოხდება 50%-მდე შემცირებული საპრივატიზებო საფასურით ქონების პრივატიზება, ასეთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ზემოთ აღნიშნული ავტომობილის საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს თავდაპირველი ღირებულების 30%-360 ლარი.

გთხოვთ დაავალოთ იურიდიულ სამსახურს სათანადო პროექტის მომზადება  
საკრებულოში წარსადგენად.

პატივისცემით,

გიორგი ნაჭყებია -

 პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის ნოემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 115-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის მე-10 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 38-ე მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, (ავტომობილი - VAZ 2107; გამოშვების წელი 1999, ფერი მწვანე - 8/8; სედანი; სარეგისტრაციო ნომერი MAC-002) განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასური 1200 (ათას ორასი) - ლარი შემცირდეს 70% -ით და განისაზღვროს 360 (სამას სამოცი) ლარის ოდენობით.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე